



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 8/24

2023 წლის 28 ივნისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/5 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 54,3 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 12592,8 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 6843,1 ათ. ლარი, ე.ი. 5749,7 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 3942,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 135,9 პროცენტი.

აქედან:

I. შემოსავლების გეგმა შესრულებულია 54,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 12292,8 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 6652,0 ათ. ლარი, ე.ი. 5640,8 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 3751,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 129,3 პროცენტი. მათ შორის:

ა) გადასახადებიდან გეგმა შესრულდა 28,4 პროცენტით, გეგმიური 6772,5 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 1922,5 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 4850,0 ათ. ლარით ნაკლები;

ბ) გრანტებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულდა 85,9 პროცენტით, გეგმიური 4711,3 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 4047,8 ათ. ლარი, ე.ი. 663,5 ათ. ლარით ნაკლები;

გ) სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 84,3 პროცენტით, გეგმიური 809,0 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 681,7 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 127,3 ათ. ლარით ნაკლები.

II. არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულებულია 63,7 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 300,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 191,1 ათ. ლარი, ე.ი. 108,9 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 191,1 ათ. ლარით.

III. ფინანსური აქტივების კლება და ვალდებულებების ზრდა გეგმით არ ყოფილა გათვალისწინებული.



რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელებს, გეგმა შესრულებულია 63,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 16538,1 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 10558,0 ათ. ლარი, ე.ი. 5980,1 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 3575,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 51,2 პროცენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეისწავლა საკითხი: „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“. საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საბიუჯეტო კლასიფიკაციის ზოგიერთი მუხლის სრულად დაუფინანსებლობის გამო 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია-დაწესებულების ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები.

#### აღნიშნულიდან გამომდინარე:

##### მუხლი 1.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ექსპერტ-სპეციალისტის მიერ შესწავლილი საკითხი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტები მიღებულ იქნას ცნობად, თანახმად დანართებისა.

##### მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ბექა ვაჭარაძე) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია-დაწესებულების ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება-აღმოფხვრისთვის და გაწეული მუშაობის შესახებ აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 ივლისამდე.

##### მუხლი 3.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისთვის გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

##### მუხლი 4.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას (თემური დუნდუა).

##### მუხლი 5.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

##### მუხლი 6.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეშელაშვილი